

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

შპს „მიუნჰენი“

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისათვის (ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	3	1 664 300	1 378 434
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	4	-711 202	-590 966
საერთო მოგება		953 098	787 468
სხვა შემოსავალი	5	16 382	11 372
კომერციული ხარჯები	6	-912 219	-839 886
ადმინისტრაციული ხარჯები	7		
საოპერაციო მოგება		57 261	-41 046
სხვა ხარჯები	8	-302	-2 255
აქტივების გაუფასურება	9		
შემოსავალი/ ხარჯი საკუროსო სხვაობიდან, ნეტო	10		-182
წმინდა ფინანსური(ხარჯი)შემოსავალი, ნეტო	11	-302	-2 437
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		56 959	-43 483
მოგების გადასახადის შემოსავალი/ხარჯი			
წლის მოგება		56 959	-43 483
დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში		-242 125	-198 642
დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს		-185 166	-242 125

შენიშვნა“ ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით

3-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი



დ.ანდლულაძე

ფინანსური დირექტორი



ლ.მურვანიძე

შპს „მიუნჰენი“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1 311 395	1 425 541
არამატერიალური აქტივები	13	755	1 332
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 312 150	1 426 873
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	100 712	63 282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	16 341	17 162
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16		
ფული და ფულის ექვივალენტები		46 173	68 615
სულ მიმდინარე აქტივები		163 226	149 059
სულ აქტივები		1 475 376	1 575 932
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 588 559	1 798 559
წინა წლების დაუფარავი ზარალი		-242 126	-198 642
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი		56 959	-43 483
სულ კაპიტალი		1 403 392	1 556 433
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	19	-27 774	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	-44 210	-19 499
სულ მიმდინარე ვალდებულებები		-71 984	-19 499
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		1 475 376	1 575 932

3-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი



დ.ანდლულაძე

ფინანსური დირექტორი



ლ.მურვანიძე

შპს „მიუნჰენი“


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (პირდაპირი მეთოდი)(ლარი)

	2021	2020
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი შემოსავლები	1 896 706	1 566 375
სხვა შემოსავლები	5 719	49 531
მოწოდებაზე და მომსახურებაზე გაცემული ფულადი სახსრები	-1 073 905	-889 469
გაცემული შრომის ანაზღაურება	-367 359	-349 315
სხვა ვალდებულებების შემცირება		
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-242 750	-213 989
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები		-4 390
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	218 411	158 743
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		-
ძირითადი საშუალებების შეძენა	-30 853	-59 808
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-210 000	-40 000
მიღებული პროცენტები		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-240 853	-99 808
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებების გადახდა		
რეაბილიტაციის ფინანსური ვალდებულებების შემცირება		
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		0
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		0
წმინდა ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტის მატება/კლება	-22 442	58 935
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	68 615	9 680
ნაშთი პერიოდის ბოლოს	46 173	68 615

3-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი



დ.ანდლულაძე

ფინანსური დირექტორი



ლ.მურვანიძე

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....
2. ახალი ფასს-ების მიღება.....
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....
4. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....
5. ამონაგები.....
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....
7. სხვა შემოსავალი.....
8. კომერციული ხარჯები.....
9. სხვა ხარჯები.....
10. ძირითადი საშუალებები.....
11. არამატერიალური აქტივები.....
12. მარაგები.....
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....
14. წინასწარ გადახდილი გადასახადები.....
15. ფული და ფულის ეკვივალენტი.....
16. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები.....
17. საგადასახადო ვალდებულებები.....
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიუნჰენი“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2012 წლის 12 ივნისს შპს „არენას“ სახელით. 2013 წლის 06 ივნისს შპს „არენას“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დარეგისტრირდა შპს „მიუნჰენი“ -ს სახელწოდებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი ქუთაისის/კოსტავას ქ. #8/5

კომპანიის ფაქტური მისამართია: საქართველო, ბათუმი ქუთაისის/კოსტავას ქ. #8/5

კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს 2012 წლის 12 ივნისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის პერიოდში წარმოადგენს ფიზიკური პირი- ნანა აროშიძე

კომანიამ 2013 წლის მარტის თვეში დაიწყო საოპერაციო საქმიანობა.

2015 წლის 13 ოქტომბერს მოხდა შერწყმა, შპს „არე“ შეერწყა შპს „მიუნჰენს“.

შპს „მიუნჰენის“-ს ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურეობა.

2. ახალი ფასს-ების მიღება

ვინაიდან კომპანია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს 2020 წლისათვის მოქმედი რედაქციით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფასს-ში შეტანილი ცვლილებები და ახალი ფასს-ების მიღება , რომლებიც ძალაში შევიდა 2021 წელს, ზეგალენას ვერ მოახდენს მომავალი 3 საანგარიშო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პერიოდზე.

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

4. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაზე გადასვლას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესაბამის პერიოდის მონაცემებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია, ცვლილება შეეხო სრული შემოსავლებისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებებს, კერძოდ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკით მოხდა მათი გაერთიანებული წარდგენა „სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგები“-ს ანგარიშგების სახით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ (დისკონტირებული) ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებს, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“)

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე,

კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. . კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა

შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. მოგებად ან ზარალად წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

აშშ დოლარი	
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.097

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარე.

თავდაპირველი შეფასება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებები გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმოს ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ფასდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი ღირებულებით

აქტივების თვითღირებულება არის აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული

საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში,

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალების რეზერვი.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა,
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

1 შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამა	

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდით კომპანია წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს მარაგების შეფასებას გაუფასურების დადგენის მიზნით და შედეგს აღიარებს გაუფასურების ზარალში.

დაბეგვრა

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდი გაცემის დროს. ასევე მოგებით დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანსაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქმნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქმნის პირობას

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა საწარმოდან. სავაჭრო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

საპენსიო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზრაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით აღრიცხვას.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინსაწარ შეთანხმებულ სარგებელს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესრულებული სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით),

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელის არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხივნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, გამოუყენებელი შვებულებები დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

(ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმები პირობების გათვალისწინებით);

(ბ) კანონმდებლობიდან; ან

(გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

5. ამონაგები

ამონაგები 2021 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
ამონაგები სარესტორნო საქმიანობიდან	1 664 300	1 378 434
სულ	1 664 300	1 378 434

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2021 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
რპთ მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	-711 202	-590 966
სულ	-711 202	-590 966

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2021 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2 021	2 020
კურსთა შორის სხვაობა		
შემოსავალი უსასყიდლო მოწოდებიდან		
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16 382	11 372
სხვა		
სულ	16 382	11 372

8. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები 2020 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
სარეკლამო ხარჯები		1729
შრომის ანაზღაურება	494720	431131
ბანკის საკომისიო	188	196
ქონების გადასახადი	14895	14895
საიჯარო ქირა	305	203
მუსიკალური გაფორმების ხარჯი		2500
ტრანსპორტირების ხარჯი	639	1532
სამეურნეო ხარჯები	12431	25316
კომუნიკაციის ხარჯები	4333	3984
დაზღვევის ხარჯი	2175	2182
კომუნალური ხარჯი	77417	58449
ობიექტის დაცვის ხარჯი	11864	11121
ცვეთა და ამორტიზაცია	140870	149877
საგადასახადო ხარჯები		7287
საპენსიოს ხარჯი	15062	18022
სხვა საერთო სარესტორნო ხარჯი	116757	96278
პოსტ ტერმინალის ხარჯი	18029	15185
საწვავის ხარჯი	2560,17	
სულ	912245	839 886

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

9. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2020 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
მარაგების ჩამოწერა/ინვენტარიზაციის შედეგი		
კურსთა შორის ზარალი	0	-182
უსასყიდლოდ მიწოდება	0	-2255
ქველმოქმედება		
ძირითადი საშუალება		
სხვა ხარჯი		
სულ	0	-2437

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	შენობა	ტრანსპორტი	სულ
ნაშთი 2020 წლის 01 იანვრისათვის	418 942,00	30 772,00	439 497,00	1 529 115,00		2 418 326
შემოსვლა	6 216,92		10 590,82		9 340,00	26 148
უკან დაბრუნება, გასვლა						0
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	425 159	30 772	450 088	1 529 115	9 340	2 444 474
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისათვის	-205 489	-18 775	-288 191	-480 330		-992 785
ცვეთა წლის განმავლობაში	-32 134	-2 102	-29 604	-76 454		-140 294
						0
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-237 623	-20 877	-317 795	-556 784	0	-1 133 079
ნარჩენი საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისათვის	213 453	11 997	151 306	1 048 785	0	1 425 541
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	187 536	9 895	132 293	972 331	9 340	1 311 395

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 01 იანვრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

არამატერიალური აქტივები

	პროგრამა აპექსი	პროგრამა აპექსი
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისათვის	5 763	5 763
ნაშთი 2019 წლის 31 იანვრისათვის	5 763	5 763
დაგროვილი ამორტიზაცია		
ნაშთი 2020 წლის 01 იანვრისათვის	-4 431	-3 855
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-576	-576
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-5 007	-4 431
ნეტო საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისათვის	1 332	1 908
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	756	1 332

არამატერიალური აქტივები 2021 წლის 01 იანვრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

11. მარაგები

მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
საქონელი		
ნედლეული და მასალები	100 712	63 282
სულ	100 712	63 282

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნა	8 695	9 558
სხვა მოთხოვნები	7 647	2 233
წინასწარ გადახდილი გადასახადები		5 373
სულ	16 342	17 165

13. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს

14. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
ფული სალაროში	3 739	723
ფული მომდინარე საბანკო ამგარიშზე ლარში	42 357	67 782
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	77	110
სულ	46 173	68 615

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის(ლარი)

15. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვისა და ბარათის წარმოების წესებში განხორციელებული საკანანმდებლო ცვლილებების გამო საგადასახადო ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ჯამურად ყველა გადასახადის ნაწილში

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისათვის და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	-44 210	-19 299
სახელფასო ვალდებულებები		-200
სულ	-44 210	-19 499

შპს „მიუნჰენი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის(ლარი)